ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4154259

ნომერი: AR1628030

თარიღი : 03.09.2018

გაცემის თარიღი : 05.09.2018

გაცნობის თარიღი : 05.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიქელაძე , N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:

- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 03 სექტემბერს NAR1628030 განცხადებით მომართა ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43ა, ქალაქი თბილისი, ქუჩა მიქელაძე, N1-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.03.010.142), მრავალფუნქციური შენობის (სამეურნეო ობიექტი (ჩირის საშრობი, სასაწყობე და სამაცივრე ფართები, საცალო ბაზრობა), კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 30 ივლისის №4094147 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 30 ივლისიდან 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 16 აგვისტოს №4123823 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 5564.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 205.1 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობ: 161.8 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 3278.1 კვ.მ. სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებით შეთანხმებული +6.100, +9.800 და +13.500 ნიშნულების გეგმების წინამდებარე განცხადების წარმოდგენილი ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით ჩანაცვლებას. მისივე განმარტებით, ჩასწორებულ გეგმებზე დატანიალია ავტოსადგომების ფართობები ინდივიდუალურად, საერთო ფართობის ცვლილების გარეშე.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებით შეთანხმებული +6.100, +9.800 და +13.500 გეგმები არ იცვლება. უბრალოდ ხდება ინდივიდუალურად ავტოსადგომების ფართობების მითითება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +6.100, +9.800 და +13.500 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №4079065 და 2018 წლის 16 აგვისტოს №4123823 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.